**საკრებულოს იურიდიულ**
**საკითხთა კომისიის სხდომის**
**ოქმიN4**

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

04 აპრილი 2023 წ

**სხდომას უძღვებოდა:** იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ომარ ჯიხვაშვილი, 3. ნატალია ასათიანი ,4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. ნინო ჩხიკვაძე ;

**სხდომას არ ესწრებოდა:** ამირან ვერულაშვილი; რუსუდან კოვზირიძე;. დავით ცხადაძე, გიორგი ბარათაშვილი;

**სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, მერიის იურისტები: ნათია სახეჩიძე, მარი ლილუაშვილი;**

**კომისიის სიითი შემადგენლობა:** 11 წევრი.
**კვორუმი:** 6 წევრი.
**დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა:** 7 წევრი.

*<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>*

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-2823082135 წერილი, 2023.23.03)

**/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/**

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ;

**/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/**

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

*<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>*

*<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>*

**1.მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე''. კომისიის წევრებს განუმარტა, რომ პროექტის მიხედვით ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია 2023 წლის აპრილიდან მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. შემოწმება, თავის მხრივ გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივ აქტში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას. შემოწმების პროცესში კი აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობას აქვს ადგილი, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს ზედამხედველობის სამსახურს ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესრულება. აღნიშნული პერიოდული შემოწმება გრძელდება შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტში მითითებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივ აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოიცემა „მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სამსახურს აღარ აქვს ვალდებულება შეამოწმოს ხსენებული პერიოდულობით ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ობიექტზე კვლავ არ გაიცა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

**აზრი გამოთქვეს: ჯემალ ისაკაძემ, ი.მაგრაქველიძემ;**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;**

**გადაწყვიტეს:**

**მუხლი 1.** უნდა დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე.“

**მუხლი 2.** საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

**2. მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ განსახილველად დაეწერა სოფელ ღვანკითის მაცხოვრებლების განცხადება(ინიციატივა)-სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ, სადაც განმცხადებელი ითხოვს საკითხის გადაწყვეტისათვის კანონმდებლონით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, იურიდიულ საკითხთა კომისიამ უნდა შეისწავლოს განცხადების ფორმალური მხარე, დაადგინოს, რომ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები სრულად არის წარმოდგენილი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილებით დამტკიცებული,, მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი" და თუ დარწმუნდა, რომ წარმოდგენილი განცხადება პასუხობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

მომხსენებლის განმარტებით, კომისიის წინაშე წარმოდგენილია(ინიციატივას თან ახლავს) სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მოსახლეობის თანხმობა ამავე ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების თაობაზე. თანხმობის ფურცელზე დატანილია მოსახლეობის ხელმოწერები პირადი ნომრის მითითებით, თან ახლავს სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის გავრცელების არეალის რუქა X და Y კოორდინატების მითითებით(ორთოფოტო), მადლობის სიგელები, ბიოგრაფიული ცნობები.

მომხსენებელმა, სხდომის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიას მიმართა, რომ პროცედურა ითვალისწინებს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვას და მიმართა შეკითხვით, როდის გაემართათ კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით იურიდიულ საკითხთა კომისია კონსულტაციებს გამართავს სოფელ ღვანკითის მოსახლეობასთან 2023 წლის 05 აპრილს 13 საათზე.

**აზრი გამოთქვეს: ყველა ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ ინიციატივას;**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;**

**გადაწყვიტეს:**

**მუხლი 1.** გამართოს კონსულტაციები იურიდიულ საკითხთა კომისიამ სოფელ ღვანკითის მოსახლეობასთან 2023 წლის 05 აპრილს 13 საათზე პირველი ქუჩისათვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების თაობაზე საქრთველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-12 მუხლის მე-6,მე-8 პუნქტების შესაბამისად.

**მუხლი 2.** კონსულტაციის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობოს საკრებულოს აპარატს და საკითხის ინიციატორებს.

კომისიის თავმჯდომარემ იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის 4 აპრილის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: